

# ფირმის ფინანსური დიაგნოსტიკა

ფირმის დიაგნოსტიკისას არსებობს ანალიზის ორი უმთავრესი ობიექტი: **საწარმოს საქმიანობის შედეგები პერიოდის განმავლობაში და მისი მდგომარეობა მიმდინარე მომენტში და საწარმოს ძირითადი ბიზნეს-პროცესები.**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფირმის მდგომარეობის ფინანსური დიაგნოსტიკისას აუცილებელია არა მარტო ფინანსური ანალიზის ჩატარება და შესაბამისი კოეფიციენტების გამოთვლა, არამედ, მენეჯერებმა ფინანსური მაჩვენებლები უნდა განიხილონ სხვა არაფინანსურ მაჩვენებლებთან ერთად კომპლექსში.

არსებობს ფინანსური კოეფიციენტების ფართო სპექტრი, ამიტომ მენეჯერები ყურადღებით უნდა მოეკიდონ იმ მაჩვენებლების შერჩევას, რომლებიც გამოყენებული იქნება ფირმის მდგომარეობის შეფასებისას. არასწორმა არჩევანმა შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ შრომატევადი ფინანსური ანალიზი არ მოუტანს საწარმოს არანაირ სარგებლობას.

სწორედ ამიტომ ფინანსურმა მენეჯერმა უნდა შეარჩიოს ის მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენენ საინფორმაციო საფუძველს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

ფირმის ფინანსური დიაგნოსტიკისას გამოყენებული უნდა იქნას:

1) **ფინანსური ანგარიშგების მონაცემები;**

2) **ფინანსური ანგარიშგების პორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი;**

3) **ფინანსური კოეფიციენტები.**

ფინანსური დიაგნოსტიკისას პირველ რიგში, აუცილებელია ფინანსური მონაცემების მონესრიგება, რათა ეს არ იყოს უბრალოდ სხვადასხვა მონაცემები, არამედ, სასარგებლო ინფორმაცია. ფინანსური ანგარიშგება შედგება სამი ძირითადი ფორმისაგან: **ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება.** ფინანსური ინფორმაციის მონესრიგების შემდეგი სტადიაა

**ფინანსური ანგარიშგების პორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი.** პორიზონტალური ანალიზის დროს ხდება ბალანსის, მოგება-ზარალის და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის ძირითადი პუნქტების შედარება (აბსოლუტური და პროცენტული შეფარდებები), ხოლო, ვერტიკალური ანალიზის დროს ფინანსური ანგარიშგების ყველა მონაცემი წარმოდგება შეფარდებით (პროცენტულ) გამოხატულებაში. მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არაა. ფინანსური მაჩვენებლები გადაწყვეტილების მიღებისთვის უსარგებლოა, თუ მენეჯერი არ მოახდენს მათ შედარებას.

მნიშვნელოვანია შესადარისობის პრინციპის დაცვა, ანუ, მენეჯერმა ფირმის მაჩვენებლების შედარება უნდა მოახდინოს. შედარებისთვის არსებობს ორი სახის მაჩვენებლები:

- **ამავე საწარმოს მაჩვენებლები წინა პერიოდებში;**

- **ამავე დარგის სხვა საწარმოების (კონკურენტების) ანალოგიური მაჩვენებლები.**

ანუ, ფინანსური დიაგნოსტიკის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ ორი დასკვნა:

1) **როგორ შეიცვალა საწარმოს მდგომარეობა წინა პერიოდთან შედარებით – გაუმჯობესდა, თუ გაუარესდა?**

2) **რამდენად წარმატებულად მუშაობს საწარმოო კონკურენტებთან შედარებით.**



**ნათო გოგიაშვილი,**

ეკონომიკის აკადემიური  
დოქტორი

ფინანსური დიაგნოსტიკისას მნიშვნელოვანია გასაანალიზებელი ფინანსური კოეფიციენტების სწორი შერჩევა. ამისათვის საჭიროა ჯერ გაანალიზდეს ფირმის სტრატეგია და ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც ესწრაფვის, ხოლო შემდეგ გამოვლინდეს კოეფიციენტები, რომელთა გამოთვლა საჭიროა.

ფირმის საქმიანობის შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იქნას 200 ფინანსური მაჩვენებელი, მაგრამ ეს რასაკვირველია, მიზანშეწონილი არ არის. მთლიანი, მსხვილმასშტაბიანი დიაგნოსტიკა საჭიროა ჩატარდეს წელიწადში ერთხელ. ხოლო თვეში ან კვარტალში ერთხელ – ფინანსური მაჩვენებლების მონიტორინგი. ტიპური, პრაქტიკულად გამოყენებადი კოეფიციენტები მოგვყავს ცხრილის სახით (იხ. გვ. 80).

თუ საწარმო სააქციო საზოგადოებაა და არსებობს ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი, მაშინ, უნდა გაანალიზდეს საბაზრო მაჩვენებლებიც, როგორცაა: მოგება 1 აქციაზე და სხვა.

ფინანსური დიაგნოსტიკის ბოლო პრინციპია დასრულებადობა, რაც გულისხმობს, რომ მას შემდეგ, რაც გაანგარიშებულია ყველა ფინანსური კოეფიციენტი, ჩატარებულია ფინანსური ანგარიშგების პორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი და აღწერილია გასაანალიზებელი პერიოდის ყვე

**საწარმოს მართვისათვის გამოყენებადი ფინანსური  
მაჩვენებლების (კოეფიციენტების) ცხრილი**

| მაჩვენებელი                                 | გაანგარიშების ალგორითმი                                                                                                |
|---------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ლიკვიდობის</b>                           |                                                                                                                        |
| მიმდინარე ლიკვიდობის                        | მიმდინარე აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან                                                              |
| აბსოლუტური ლიკვიდობის                       | ყველაზე ლიკვიდური აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან                                                      |
| <b>ფინანსური მდგრადობის</b>                 |                                                                                                                        |
| ავტონომიურობის კოეფიციენტი                  | საკუთარი კაპიტალის შეფარდება აქტივებთან                                                                                |
| ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი       | ნასესხები და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა                                                                            |
| პროცენტების დაფარვის კოეფიციენტი            | საოპერაციო მოგების შეფარდება პროცენტებზე დანახარჯებთან                                                                 |
| <b>ძირითადი საქმიანობის ეფექტიანობა</b>     |                                                                                                                        |
| გაყიდვების მომგებიანობა                     | მოგების შეფარდება ამონაგებთან                                                                                          |
| პროდუქციის რენტაბელობა                      | მოგების შეფარდება ღირებულებასთან                                                                                       |
| <b>კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობა</b>    |                                                                                                                        |
| აქტივების რენტაბელობა RO                    | წმინდა მოგების შეფარდება აქტივების საშუალოწლიურ სიდიდესთან                                                             |
| მიმდინარე აქტივების რენტაბელობა             | წმინდა მოგების შეფარდება მიმდინარე აქტივებთან                                                                          |
| საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა RO           | წმინდა მოგების შეფარდება საკუთარ კაპიტალთან                                                                            |
| <b>საქმიანი აქტივობის</b>                   |                                                                                                                        |
| აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი           | ამონაგების შეფარდება აქტივების საშუალო ღირებულებასთან პერიოდის განმავლობაში                                            |
| მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი           | პერიოდის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების შეფარდება მარაგების საშუალო ღირებულებასთან იმავე პერიოდში |
| საბრუნავი კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტი | ამონაგების შეფარდება საბრუნავი კაპიტალის საშუალო სიდიდესთან პერიოდში                                                   |

ლა თავისებურება, აუცილებელია დასკვნების გაკეთება. ასეთი დასკვნები უნდა იყოს ლაკონური და კონსტრუქციული, ანუ მიმართული ფირმის საქმიანობის გაუმჯობესების გზების საძიებლად. სწორედ ამიტომ რეკომენდებულია SWOT – ანალიზის გამოყენება. ფირმის საქმიანობის ყველა ფაქტორი 4 ნაწილად ჯგუფდება:

S – ძლიერი მხარეები ფირმის საქმიანობაში;

W – სუსტი მხარეები ფირმის საქმიანობაში;

O – შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს ფირმის მდგომარეობა;

T – საფრთხეები, რომლებიც შეიძლება შეხვდეს ფირმას, თავისი საქმიანობის გაუმჯობესების გზაზე.

SWOT ანალიზის პრაგმატული მიზანშეწონილობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ცდილობს კონსტრუქციულად გააუმჯობესოს ფირმის საქმიანობის შედეგიანობა. SWOT ანალიზის ძირითადი პოზიციების საფუძველზე საწარმოს მენეჯმენტმა უნდა ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები საქმიანობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებების მიხედვით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური დიაგნოსტიკა დამთავრებულად.

ყველა ზემოთმოყვანილ პრინციპს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ პრინციპებს უნდა მისდიოს ფინანსურმა ანალიტიკოსმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური დიაგნოსტიკის შედეგები იქნება უსარგებლო შემდგომი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, რომლებიც მიმართულია ფირმის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის.

**АНОТАЦИЯ**

**ФИНАНСОВАЯ ДИАГНОСТИКА ФИРМ**

**Нато Бебиашвили**

В статье проанализированы те основные показатели, которые должны использоваться при финансовой диагностике предприятия. В финансовом анализе существуют почти 200 показателей, из которых менеджер должен выбрать только те, которые необходимы для принятия управленческих решений. Также необходимо проводить SWOT- анализ и делать правильные выводы на основе финансовых показателей.